# შეთანხმების აქტი

ქ. თბილისი 01 თებერვალი 2017წ.

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №178 საჯარო სკოლა (ს/კ 206031916), მისი დირექტორის , ნანა ლაბაძის სახით და მეორე მხრივ, შპს „ჯეოსელი“ , წარმოდგენილი მისი კორპორაციული ბიზნეს ერთეულის დირექტორის მალხაზ ჟორჟიკაშვილის სახით, ვადასტურებთ, რომ ჩვენს შორის მიღწეულია შეთანხმება მასზედ, რომ მხარეთა შორის 2016 წლის 25 იანვარს დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (**CON150000078**) № 06/08 ხელშეკრულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1. ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
**ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულებაა 1,00( ერთი ლარი 00 თეთრი) ლარი.**

2. ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
4.2. **მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2016 წლის 01 თებერვლიდან 2017 წლის 1 მარტამდე.**

3. ხელშეკრულების მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
**ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 1 აპრილამდე.**

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ზემოთხსენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობები რჩება უცვლელი.

წინამდებარე შეთანხმების აქტი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლიარად ქართულ ენაზე და წარმოადგენს მხარეთა შორის 2016 წლის 25 იანვარს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (**CON150000078**) №06/08 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**შემსყიდველი:**
სსიპ ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის
ქალაქ თბილისის №178 საჯარო სკოლის
დირექტორი

/ნანა ლაბაძე/

**მიმწოდებელი:**

კორპორაციული ბიზნეს
ერთეულის დირექტორი

მალხაზ ჟორჟიკაშვილი

Geocell LLC
Corporate Sales
203841940